თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №07

18 იანვარი 2018 წ.
ქ. თელავი

## თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

„მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239–ე მუხლის, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი დანართი №1-ის შესაბამისად.
**მუხლი 2.** დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.
**მუხლი 3.** დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.
**მუხლი 4.** დამტკიცდეს მითითების ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად.
**მუხლი 5.** დამტკიცდეს შემოწმების აქტის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.
**მუხლი 6.** დამტკიცდეს უწყების ფორმა დანართი №6-ის შესაბამისად.
**მუხლი 7.** დამტკიცდეს დადგენილების ფორმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე დანართი №7-ის შესაბამისად.
**მუხლი 8.** ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 სექტემბრის №32 დადგენილება „ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის

წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 01/10/2014, 010250050.35.176.016032).

მუხლი 9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 სექტემბრის №34 დადგენილება „თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 02/10/2014, 010250050.35.163.016217).

მუხლი 10. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №1*

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების საფუძველზე.

2. ამ წესის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მიერ მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და მისი აღრიცხვა - წარმოების დარეგულირება.

### მუხლი 2. ოქმის შენახვა

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაბეჭდვა მოხდეს სტამბური წესით.

2. სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ჩაბარების უფლება აქვს თელავის მუნიციპალიტეტის მერის მინდობილობით აღჭურვილ პირს.

3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან სათანადოთ დაცულ სათავსში.

### მუხლი 3. ოქმის შედგენის საფუძველი

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების უფლებამოსილი მოსამსახურე ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

2. ადმინისტაციული სამართალდარღვევის ოქმი თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მოსამსახურეზე გაიცემა მათ მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში შესაბამისი აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ.

### მუხლი 4. ოქმის სისტემატიზაცია

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიღება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამკიცებული წესით და ამ წესის შესაბამისად. ოქმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოუყენებელი და გაფუჭებული ოქმები ბარდება მათ მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ოქმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში მოსამსახურე ოქმს თან ურთავს ახსნა - განმარტებით ბარათს, რაზეც დგება სათანადო აქტი.

5. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების მოსამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა თანდართული მასალები აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალში.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს (დანაყოფებს):

ა) რიგითი ნომერი;

ბ) ოქმის ნომერი;

გ) დამრღვევის გვარი, სახელი, მისამართი;

დ) დარღვევის მოკლე შინაარსი და თარიღი;

ე) ოქმის შემდგენის თანამდებობა სახელი, გვარი;

ვ) კანონის შესაბამისი მუხლი;

ზ) საქმის განმხილველი თანამდებობის პირის სახელი, გვარი ან ქვემდებარეობით გადაგზავნის ნომერი და თარიღი;

თ) საქმის განხილვის თარიღი;

ი) მიღებული დადგენილების მოკლე შინაარსი და ნომერი;

კ) ინფორმაცია დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებით;

ლ) მიღებული დადგენილების სასამართლოში ან/და სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნის ნომერი და თარიღი;

მ) შენიშვნა.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №2*

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

№ _____

20 წლის------------------------ -------------------------
(თარიღი) (ოქმის შედგენის ადგილი)

1. მე, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების

_____________________________________________________________
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე და 240-ე მუხლებისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე შევადგინე აღნიშნული ოქმი იმის თაობაზე, რომ

_____________________________________________________________
სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი

_____________________________________________________________
სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება (დამკვეთი, შემსრულებელი)

_____________________________________________________________
სამართალდამრღვევი სუბიექტის იურიდიული მისამართი

_____________________________________________________________
სამართალდარღვევის შინაარსი:

_____________________________________________________________
_____________________________________________________________
_____________________________________________________________
_____________________________________________________________
_____________________________________________________________
_____________________________________________________________
_____________________________________________________________

რაც გათვალისწინებულია

______________________________________________________________________

(მიეთითოს კანონის შესაბამისი მუხლი)

______________________________________________________________________

**2.** აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის______________________________________________________________

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ახსნა-განმარტება:

______________________________________________________________________

______________________________________________________________________

**3.** სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, ,,ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს სახელმწიფო ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.“

მე,

______________________________________________________________________

(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

**4.** ყოველივე ზემოაღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ოქმი შევადგინე:

______________________________

(ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი:

______________________________

მოწმეები (დასწრების შემთხვევაში):

სახელი, გვარი _______________________ _______________________ __________________

(მისამართი, პირადი №)

სახელი, გვარი _______________________ _______________________ __________________

(მისამართი, პირადი №)

დაზარალებული:

სახელი, გვარი _______________________ _______________________ __________________

(მისამართი, პირადი №)

ოქმის ასლი ჩავიბარე:

_____________________________________ _______________________ __________________

(სამართალდამრღვევის სახელი, გვარი) (მისამართი, პირადი №)

**5.** ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY COUNCIL. საქართველო. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო * 231291535 *

*დანართი №3*

## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალი

| № | გაცემის თარიღი | ოქმის № | ოქმის გამცემი | | | | ოქმის მიმღები | | | | შედგენილი ოქმები | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | თანამდებობა | სახელი | გვარი | ხელმოწერა | თანამდებობა | სახელი | გვარი | ხელმოწერა | ოქმის № | თანამდებობა | სახელი | გვარი | ხელმოწერა |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | |

| დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) ოქმები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დაბრუნების თარიღი | ჩამოწერის აქტის № | ოქმის № | თანამდებობა | სახელი | გვარი | შენიშვნა |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| | | | | | | |
| | | | | | | |
| | | | | | | |

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

მ ი თ ი თ ე ბ ა №

შედგენის თარიღი ------------

______________________________________________________________________________

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

______________________________________________________________________________

(დამრღვევის დასახელება, მისამართი)

______________________________________________________________________________

(ობიექტის დასახელება, მისამართი)

მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________________________________________________________

______________________________

საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება __________________ ლარით.

დარღვევის გამოსწორების ვადა __________________________________________ დღე.

მითითება ჩაიბარა:

______________________________________________________________________________

(სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

________________________________________________

(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)

____________________

(განთავსების თარიღი)

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №5*

შემოწმების აქტი №

შედგენის თარიღი ------------------

შემოწმების აქტი დგება 20 წლის ------------------------------------------ გაცემული № ------ მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

დარღვევის დასახელება და მისამართი:

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

-------------------------------------------------------------------

ობიექტის დასახელება და მისამართი:

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

-------------------------------------------------------------------

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი:

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

-------------------------------------------------------------------

შემოწმებით დადგინდა:

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

-------------------------------------

რითაც დგინდება, რომ:

ა. მითითება შესრულდა;
ბ. მითითება არ შესრულდა;
გ. მითითება სრულდება არადროულად.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №6*

# უ წ ყ ე ბ ა №

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, დაბარებული ხართ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილებაში ტექნიკური - სამშენებლო სამართალდარღვევის აქტთან დაკავშირებით.

______________________________________________________________

(დამრღვევის დასახელება და მისამართი)

______________________________________________________________

(ობიექტის დასახელება და მისამართი)

______________________________________________________________

(საქმის განხილვის თარიღი, საქმის განხილვის ადგილი)

______________________________________________________________

(საქმის განმხილველი თანამდებობის პირი)

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე

*დანართი №7*

## დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე

№ ------

__________________ 20 წელი ________________________________

(თარიღი) (საქმის განხილვის ადგილი)

მე, თელავის მერიის იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების

-----------------------------------------------------------------------------------------------------

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

განვიხილე 20 წლის ---------------------------- შედგენილი შემოწმების აქტი №------------ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს ------------ მუხლის -------------- გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის სხვა მასალები

-----------------------------------------------------------------------------------------------------

(სამართალდარღვევის სუბიექტის სრული დასახელება)

-----------------------------------------------------------------------------------------------------

(სამართალდამრღვევის სუბიექტის იურიდიული მისამართი)

მიმართ.

გამოვარკვიე ----------------------------------------------------------------------------------------

საქმის განხილვისას დადგენილი გარემოებები

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე, ვიხელმძღვანელე რა საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს ---------------------------------------- ------- მუხლებით,

დავადგინე:

1. -----------------------------------------------------------------------------------------------------------
(სამართალდარღვევის სუბიექტის სრული დასახელება)

დაედოს ადმინისტრაციული სახდელი ფულადი ჯარიმის სახით ------------------------------ ლარის ოდენობით (თანხა სიტყვიერად).

2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თამდებობის პირთან ან სასამართლოში მისი გამოტანიდან 30 დღის ვადაში.

3. ჯარიმის თანხა შეტანილი უნდა იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე.

-------------------------------------------------------------------------------------------------------------

(საბანკო დაწესებულების დასახელება, ა/ა ნომერი)

4. სამართალდამრღვევმა პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს მისთვის დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

იურიდიული სამსახურის უფროსი/იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების უფროსი:

-----------------------------------------
(ხელმოწერა)

დადგენილების ასლი მივიღე:

---------------------------------------------------------------------------
(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი, ხელმოწერა)

---------------------------------------------------------
(დადგენილების ასლის მიღების თარიღი)

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე